გვიანი მოზარდობის პერიოდში აგრესიის ფორმების სოციალურ - კოგნიტური და ფსიქოდინამიური მახასიათებლები

ლანა მურჯიკნელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2011

აბსტრაქტი

აგრესიის როგორც სოციალირ- კოგნიტურ ისე ფსიქოდინამიურ მიდგომებს აქვთ თავისი ახსნითი მოდელები აგრესიის ძირითად ფორმასთან დაკავშირებით, დაწყებული ადამიანზე მიმართული ღია, პირდაპირი აგრესიიდან , რომლის კლინიკურ გამოვლინებად პიროვნების დარღვევის მოსაზღვრე მდგომარეობა შეიზლიბა იყოს მოაზრებული , დამთავრებული საკუთარ თავზე მიმართული აგრესიით.

საკვლევ საკითხს წარმოადგენს აგრესიულობის გამოვლინებები გვიან მოზარდობაში, როცა ერთის მხრივ მოზარდს მკვეთრად უფართოვდება სოციალური გარემო და შესაბამისად მკვეთრად ეზრდება მასთან ურთიერთობის წინააღმდეგობები (აგრესიის სიტუაციური, სოციალურ კოგნიტური დეტერმინანტები), ხოლო მეორეს მხრივ მიუხედავად ფასადური გულგრილობისა , ავლენს მყარ ემოციურ დამოკიდებულებას მშობლებთან და მათთან დაკავშირებულ ადრეული ბავშვობის კონფლიქტებთან (შინაგანი, ფსიქოდინამიური დეტერმინანტები). გვიან მოზარდობაში მყოფი სუბიექტის ამგვარი ორმაგი განსაზღვრულობა აყენებს საკითხს მისი გაზრდილი აგრესიულობის ბუნებისა და გამოვლენის უპირატესი მექანიზმების შესახებ ფსიქოდინამიური და სოციალურ კოგნიტური მიდგომების პარადიგმაში.

კვლევამ უჩვენა გვიანი მოზარდობის შემთხვევითი შერჩევაის ჯგუფში აგრესიის სხვადასხვა ფორმების მაღალი მაჩვენებლების გამოვლენის სიხშირეები. ასევე აგრესიის გამოვლინების ამ სხვადასხვა ფირმების მიმართება ფსიქიკის ფუნქციონირების განსხვავებული დონის ისეთ კონსტრუქტებთან როგორიცაა ბაზისური ვარაუდები და ადრეული ბავშვობის არაცნობიერი კონფლიქტები.